ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 102
30/06/2017

102-08-4-201706301350

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,მერაბი ხუნდაძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსად დანიშვნის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 13/06/2017 წლის N87 ბრძანებისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის N14 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,მერაბი ხუნდაძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსად დანიშვნის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები და დამატებები:

1.1 ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

1.2 ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

1^1. 2017 წლის 01 ივლისიდან მერაბ ხუნდაძე ჩაითვალოს I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე დანიშნულ პროფესიულ საჯარო მოხელედ.

1.3 ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 მუხლი :

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

1.4 ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 მუხლი :

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა